დამტკიცებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 მაისის N07 გადაწყვეტილებით

მოდიფიცირებულია თჰუაკადემიური საბჭოს 2025 წლის 03 სექტემბრის
N14 გადაწყვეტილებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისის მექანიზმი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების ორგანიზების წესის დამტკიცების მიზანია, სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და მექანიზმების პარალელურად, სტუდენტებს შეუქმნას მათი მოთხოვნების და საჭიროებების შესაბამისი სასწავლო გარემო, მათთვის აკადემიური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და კარიერული მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების, ასევე სტუდენტთა სოციალიზაცია/ინტეგრაციის სერვისების შეთავაზების გზით.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. უნივერსიტის მიზანია გაუწიოს სათანადო დახმარება და კონსულტირება სტუდენტებს;
2. უნივერსიტეტი სტუდენტებს საკონსულტაციო სერვისები და მხარდაჭერა მიეწოდება შემდეგი მიზნების მისაღწევად:
   ა) სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დაძლევა;
   ბ) სტუდენტთა სამართლებრივი მხარდაჭერის, მათი დაცულობისა და უსაფრთხოების განცდის გაზრდა;
   გ) სტუდენტთა სოციალიზაცია/ინტეგრაციის პრობლემების დაძლევა;
   დ) სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
   ე) კარიერული მხარდაჭერა;
   ვ) კვლევით და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

მუხლი 2. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დაძლევა

სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

1. სასწავლო წლის დასაწყისში ადგილობრივ და საერთაშორისო პირველკურსელებისათვის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაცნობით ხასიათის ტურის მოწყობა.

2. სასწავლო წლის დასაწყისში ახლად ჩარიცხული ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორაციის მიწოდება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კრედიტების, სავალადებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ.
3. ინფორმაციის გაზიარება შეფასების მეთოდების და კომპონენტების შესახებ.
4. ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველეყოფის მექანიზმისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის ფორმების შესახებ;
5. ყოველი სემესტრის დასაწყისში სასწავლო პორტალში საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შესაბამისი სემესტრის სასწავლო კურსების არჩევის შესახებ კონსულტაციის გაწევა;
6. საერთაშორისო სტუდენტებისათვისნ (მათი ოდენობის გათვალისწინებით) ფაკულტეტის ადმინისტრაციის ფარგლებში მენტორის გამოყოფა, რომელიც დაეხმარება მათ როგორც აკადემიური, ასევე სოციალური საკითხების გარკვევასა და მოგვარებაში. მენტორობა შეიძლება მოიცავდეს რეგულარულ შეხვედრებს, სადაც მენტორები და სტუდენტები განიხილავენ სხვადასხვა გამოწვევებსა და პრობლემებს.

მუხლი 3. სტუდენტთა სამართლებრივი მხარდაჭერის, მათი დაცულობისა და უსაფრთხოების განცდის გაზრდა

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

1. სტუდენტთა ინფორმირება სტუდენტთა საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის რეგულაციური აქტებით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ;
2. სამართლებრივი მხარდაჭერის სერვისები მოიცავს სტუდენტთა ინდივიდუალურ კონსულტაციებს და ასევე ინფორმაციული ხასიათის სესიებს, სადაც სტუდენტები მიიღებენ საჭირო სამართლებრივ ინფორმაციასა და რჩევებს სტუდენტის/ საერთაშორისო სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე;

3. უნივერსიტეტში რეგულარულად ჩატარდება სემინარები და ვორქშოფები, სადაც სტუდენტები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას ბინადრობის ნებართვის განახლებასთან, ვადებთან და პირობებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი გააფორმებს მემორანდუმს იმ ორგანიზაციასთან, რომელიც სამართლებრივ მხარდაჭერას უწევს უცხოელ სტუდენტებს საქართველოში.

4. საერთაშორისო სტუდენტებისთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის მიღება ხშირად კომპლექსური და რთული პროცედურაა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიზნობრივ ინდივიდუალურ დახმარებას, რაც მოიცავს დახმარებას შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და სახელმწიფოს ორგანოებთან კომუნიკაციაში.
5. უნივერსიტეტი უზრუნველყოს სამართლებრივ დახმარებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ვიზები, სამუშაო უფლებები, საცხოვრებელ ფართში რეგისტრაციის პირობები და სხვა აქტუალური სამართლებრივი საკითხები.

6. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ქვეყნის შრომის კანონმდებლობის, აკადემიური ეთიკისა და სამართლებრივი უფლებების შესახებ. ამ მიზნისთვის შეიძლება შეიქმნას სპეციალური საინფორმაციო ბროშურები და ონლაინ რესურსები, რომლებიც მუდმივად განახლდება.

7. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტების ინფორმირებას პოლიციის და სხვა საგანგებო სამსახურების, ასევე მათი კონტაქტების თაობაზე.

მუხლი 4. სტუდენტთა სოციალიზაციისა და ინტეგრაციის პრობლემების დაძლევა.

სტუდენტთა, განსაკუთრებით საერთაშორისო (უცხოელ) სტუდენტთა სოციალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის აქტივობებია:

1. შეხვედრების ორგანიზება, სადაც სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას შესაბამისი სერვისების, ასევე ქალაქის ძირითადი ღირსშესანიშნაობებისა და სხვადასხვა ობიექტების შესახებ;

2. სოციალიზაციაზე ორიენტირებული გაცნობითი პროგრამა შეიძლება მოიცავდეს ასევე ქალაქის ტურებს, რომლის დროსაც სტუდენტები გაეცნობიან ადგილობრივ კულტურასა და ცხოვრების პირობებს.

3. საერთაშორისო სტუდენტებისთვის ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის სოციალურ აქტივობებში. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვანი კლუბებს და ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში სხვადასხვა კულტურების გაცნობასა და მეგობრობის განმტკიცებას.

4. ორგანიზებული იქნება რეგულარული სოციალური ღონისძიებები, როგორიცაა ფილმების ჩვენებები, მუსიკალური საღამოები, სპორტული აქტივობები და კულტურული გაცვლები, სადაც სტუდენტები გაცვლიან თავიანთ კულტურულ გამოცდილებებს.

მუხლი 5. სამედიცინო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

1. სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის ფარგლებში:
   ა) უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის, სამედიცინო დაზღვევის, პაკეტების, ქალაქის სამედიცინო სერვისების შესახებ;
   ბ) უნივერსიტეტი უზრუნვეყოფს სტუდენტების პირველად სამედიცინო მომსახურებას უნივერსიტეტის ექიმის კაბინეტში;
2. ფსიქოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფის ფარგლებში:
   ა) ფსიქოლოგის კონსულტაციას სტუდენტებისთვის, რომლებიც ხშირად შეიძლება შეხვდნენ კულტურული შოკის, მარტოობის, სხვა ქვეყანაში / ქალაქში ცხოვრების ან სხვა სახის ფსიქოლოგიური სირთულეების პრობლემებს;

ბ) უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში, შესაძლებელია ორგანიზებულ იქნას ჯგუფური შეხვედრები, სადაც სტუდენტები შეძლებენ გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და სირთულეები სხვა საერთაშორისო სტუდენტებს.

მუხლი 6. კარიერული მხარდაჭერა.

სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური, სამსახურის დებულების შესაბამისად.

მუხლი 7. კვლევით და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

სტუდენტთა კვლევით და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მხარდასაჭერად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) სტუდენტთა ინფორმირებას საერთაშორისო გაცვლითი პროექტების თაობაზე, უნივერსისტეტის პარტნიორი უნივერსიტეტების თაობაზე და მათი მონაწილეობით შემოთავაზებულ კვლევით და სასწავლო პროექტებზე;

ბ) სტუდენტთა ინფორმირებას შიდასაუნივერსიტეტო, საუნივერსიტეტთაშორისო და საერთაშორისო კვლევითი პროექტების თაობაზე, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტთა ჩართულობა;

გ) ერთიან პრეზენტაციას სტუდენტურ კვლევით და საერთაშორისო სასწავლო აქტივობებში, მათ შორის საერთაშორისო მობილობის პროცესში, კონფერეცნიებში, სემინარებში და სხვა ღონისძიებებში ჩართვის პროცედურების თაოაბზე. საერთაშორისო მობილობის და სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ღიაა და ვრცელდება უნივერსიტეტის ელ.ფოსტის, სოციალური მედიის გვერდის და ვებ-გვერდის საშუალებით. გამოქვეყნებული ინფორმაცია შეიცავს კონკურსის დეტალებს და შერჩევის კრიტერიუმებს.

დ) უწევს სტუდენტებს კონსულტაციებს კვლევით პროექტებში და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის, პროცედურისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების თაობაზე.

მუხლი 8. საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირები/ სამსახურები და მათი ფუნქციები და მოვალეობები:

1. **სასწავლო პროცესის მართვის სამსახური:**
   ა) ახდენს სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურების შესახებ;
   ბ) ადგენს პროფესორთა საკონსულტაციო მომსახურების განრიგს კონკრეტული სასწავლო კურსის, საკონსულტაციო დღის, დროის და აუდიტორიის მითითებით; განრიგი განთავსდება სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამაში და წვდომა სტუდენტს აქვს საკუთარი პროფილიდან.
2. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:**
   სტუდენტებს აწვდის ინფომრაციას უნივერსისტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე და ასევე ამ მექანიზმების უზრუნველყოფაში სტუდნტების მონაწილეობის და ჩართულობის შესახებ.
3. **ფაკულტეტის დეკანი/მოადგილე:** სტუდენტს საჭიროებების გათვალისწინებით უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; აძლევს კონსულტაციებს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით;

4. **ფაკულტეტის აკადემიური პროცესების მართვის მენეჯერი:** აკონტროლებს სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებს და კონსულტირებას უწევს მათ აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესში; ახდენს სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ საკითხებზე, აკადემიური კალენდრით განსაზღვრული აქტივობების შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა სახის ღონისძიებების შესახებ; დახმარებას უწევს მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვის მიზნით.
5. **აკადემიური/ მოწვეული პერსონალი**
   ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალი, როგორც სასწავლო კურსის განმახორციელებელი, სტუდენტს უწევს საკონსულტაციო მომსახურებას უნივერსიტეტში, სასწავლო კურსის ცალკეული თემის, საკითხის შესწავლის პროცესში წარმოქნილი სირთულეების დაძლევის, რეფერატის, პროექტის თუ სხვა სახის დავალებების შესრულებაში დახმარების მიზნით. საკონსულტაციო დრო განსაზღვრულია პროფესორის დატვირთვაში და მისი ვალდებულება გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში.
   ბ) კონსულტაცია შეიძლება იყოს წინასწარ დაგეგმილი პროფესორის მიერ ცალკეული თემის სირთულიდან/ საჭიროებებიდან გამომდინარე და ამის შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას კურსის განმახორციელებლისგან (დაგეგმილი განრიგის შესაბამისად); კონსულტაცია შეიძლება იყოს ინდივიდუალური , სტუდენტის მოთხოვნით და მისი საჭიროებების გათვალისწინებით.
   გ) ინდივიდუალური კონსულტაცია შესაძლებელია განხორციელდეს ასევე „ონლაინ“ რეჟიმში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.
   დ) კონსულტაცია დასკვნითი გამოცდების საკითხებზე დაგეგმილია და ტარდება აკადემიური კალენდრის მიხედვით.
6. **უწყვეტი განათლების ცენტრი**
   უზიარებს სტუდენტებს ინფორმაციას ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, უზრუნველყოფს მათ ჩართულობას.
7. **იურიდიული სამსახური**
   აწვდის ინფორმაციას სტუდენტთა უფლებებისა და ვადებულებების შესახებ, უზიარებს ინფორმაციას სტუდენტის საერთაშორისო სტატუსთან დაკავშირებით, მიაწვდის სრულ ინფორმაციას ბინადრობის და ვიზების შესახებ და სხვა.
8. **საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური**
   აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო პარტნიორების, გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, სემინარების და სხვა ღონისძიებების შესახებ.
9. **სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური:**
   ა) სტუდენტს დახმარებას უწევს დასაქმებისა და კარიერის ეფექტიანი დაგეგმისთვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების შეძენაში;
   ბ)სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ; სამუშაო ვაკანსიებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ.

გ) აწვდის ინფორმაციას დაგეგილი სოციალურ-კულტურული, სოციალიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებების შესახებ, ეხმარება საერთაშორისო სტუდენტებს ქვეყანასა და საუნივერსიტეტო გარემოში ადაპტაციის მიზნით და სხვ.

10. ექიმი

ა) სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას არსებული სამედიცინო დაწესებულებების შესახებ;

ბ) უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას და უწევს კონსლტაციებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ (კომპეტენციის ფარგლებში).

11. ფსიქოლოგი

კონსულტაციას უწევს სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიური სირთულეების, პრობლემების შესახებ.

12. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:

რეაგირებს სოციალური ქსელით შემოსულ შეკითხვებზე და კომპეტენციის ფარგლებში უწევს კონსულტაციას სტუდენტებს სხვადასხვა საკითხებზე, აკავშირებს შესაბამის სამსახურებთან და ა.შ.

13. კვლევებისა და განვითარების ცენტრი

აწვდის ინფორმაციას და უწევს კონსულტაციას სტუდენტებს შიდასაუნივერსიტეტო, უნივერსიტეტთაშორისი და საერთაშორისო კვლევითი პროექტების შესახებ და სამეცნიერო კონფერენციების თაობაზე, სადაც სტუდენტთა ჩართულობაა გათვალისწინებული.